

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი № 41(48)) 357-ე, 382-ე მუხლის პირველი პუნქტი, 389-ე და 390-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. „მუხლი 357. სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება პირის მიერ სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასოთხმაციდან ორას ოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

2. „მუხლი 382. სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ცნება
1. სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლება ამ კარით გათვალისწინებული ქმედება, მიმართული საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ, ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტის მიერ სარეზერვო სამსახურის გაგლისას.

3. „მუხლი 389. დეზერტირობა
1. დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო ან სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა აღვილის თვითნებურად დატოვება სამხედრო ან სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა—
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
ა) სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღით;
ბ) ჯგუფურად;
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: სამხედრო ან სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

4. „მუხლი 390. სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით

1. სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ან სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.